

შპს „მარშე“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის
აუდიტორულ დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4-7
სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	8
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნები.....	11-38
მმართველობითი ანგარიშგება.....	39-44

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მარშე“-ს (შემდეგ ტექსტში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- იმის შეფასებაზე, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების ისეთ წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და ხსნის კომპანიის ტრანზაქციებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და საშუალებას აძლევს მენეჯმენტს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იყოს მის ფასს-თან შესაბამისობაში;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც შეესაბამება ქართულ კანონმდებლობასა და მის ფასს-ს;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 15 აგვისტოს

ხელმძღვანელობის სახელით

შპს „მარშე“-ს დირექტორი :

(ე.ჩხაბერიძე)

ფინანსური დირექტორი ;

(ნ. ხომერიკი).

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მარშე“-ს მფლობელებისა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მარშე“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „მარშე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს / IFRS for SMEs) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ „კომპანიისგან“, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

მომხმარებლის ყურადღება გვინდა მივაპყროთ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების 22-ე პუნქტში სათანადოდ არის გამჟღავნებული. საიდანაც ვასკვნით, რომ ეს მოვლენები არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე მიანიშნებს, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. ვინაიდან კომპანიას აქვს მკაფიო გეგმა საწარმოს მომავალში ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, აუდიტორის მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი

30 სექტემბერი, 2024 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მარშე“-ს მფლობელობა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მარშე“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „მარშე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს / IFRS for SMEs) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ „კომპანიისგან“, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

მომხმარებლის ყურადღება გვინდა მივაპყროთ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების 22-ე პუნქტში სათანადოდ არის გამჟღავნებული. საიდანაც ვასკვნით, რომ ეს მოვლენები არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე მიანიშნებს, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. ვინაიდან კომპანიას აქვს მკაფიო გეგმა საწარმოს მომავალში ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, აუდიტორის მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებით მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვამს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით
გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი
30 სექტემბერი, 2024 წ.



სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	4	46,781,496	40,423,441
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	5	(40,155,375)	(36,737,616)
საერთო მოგება		6,626,121	3,685,825
სხვა შემოსავალი	6	261,913	244,836
კომერციული ხარჯები	7	(2,731,277)	(2,401,054)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,413,648)	(2,086,622)
საოპერაციო მოგება		1,743,109	(557,015)
სხვა ხარჯები	9	(153,592)	(162,980)
აქტივების გაუფასურება	10	(230,687)	(217,266)
შემოსავალი/ ხარჯი საკურსო სხვაობიდან, ნეტო	11	(3,999)	94,030
წმინდა ფინანსური(ხარჯი)შემოსავალი, ნეტო		35	5
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		1,354,866	(843,226)
მოგების გადასახადის შემოსავალი/ხარჯი			
წლის მოგება		1,354,866	(843,226)
დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში		(13,565,468)	(12,722,242)
დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს		(12,210,602)	(13,565,468)

შენიშვნა“ ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 აგვისტოს

გენერალური დირექტორი (ე. ჩხაბერიძე)
 ფინანსური დირექტორი (ნ. ხომერიკი)

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10--დან 34 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

აღწერა	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	4	46,781,496	40,423,441
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	5	(40,155,375)	(36,737,616)
საერთო მოგება		6,626,121	3,685,825
სხვა შემოსავალი	6	261,913	244,836
კომერციული ხარჯები	7	(2,731,277)	(2,401,054)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,413,648)	(2,086,622)
საოპერაციო მოგება		1,743,109	(557,015)
სხვა ხარჯები	9	(153,592)	(162,980)
აქტივების გაუფასურება	10	(230,687)	(217,266)
შემოსავალი/ ხარჯი საკუროს სხვაობიდან, ნეტო	11	(3,999)	94,030
წმინდა ფინანსური(ხარჯი)შემოსავალი, ნეტო		35	5
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		1,354,866	(843,226)
მოგების გადასახადის შემოსავალი/ხარჯი			
წლის მოგება		1,354,866	(843,226)
დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში		(13,565,468)	(12,722,242)
დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს		(12,210,602)	(13,565,468)

შენიშვნა“ ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 აგვისტოს

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

(ე. ჩხაბერიძე)
(ნ. ხომერიკი)

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10--დან 34 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (რეკლასიფიცირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,127,258	977,778
არამატერიალური აქტივები	13	33,225	22,090
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,160,483	999,868
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	2,009,573	2,046,164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	3,211,840	3,481,443
ფული და ფულის ექვივალენტები	16	37,295	11,476
სულ მიმდინარე აქტივები		5,258,708	5,539,083
სულ აქტივები		6,419,191	6,538,951
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200,000	200,000
წინა წლების დაუფარავი ზარალი		-13,565,468	-12,722,242
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი		1,354,866	-843,226
სულ კაპიტალი		-12,010,602	-13,365,468
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	17	11,880,060	13,440,072
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,880,060	13,344,072
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	18	402,937	574,147
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	6,146,796	5,980,967
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,549,733	6,560,347
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		6,419,191	6,538,951

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 აგვისტოს

გენერალური დირექტორი (ე. ჩხაბერიძე)

ფინანსური დირექტორი (ნ. ხომერიკი)

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10--დან 34 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (რეკლასიფიცირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,127,258	977,778
არამატერიალური აქტივები	13	33,225	22,090
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,160,483	999,868
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	2,009,573	2,046,164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	3,211,840	3,481,443
ფული და ფულის ექვივალენტები	16	37,295	11,476
სულ მიმდინარე აქტივები		5,258,708	5,539,083
სულ აქტივები		6,419,191	6,538,951
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200,000	200,000
წინა წლების დაუფარავი ზარალი		-13,565,468	-12,722,242
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი		1,354,866	-843,226
სულ კაპიტალი		-12,010,602	-13,365,468
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	17	11,880,060	13,440,072
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,880,060	13,344,072
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	18	402,937	574,147
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	6,146,796	5,980,967
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,549,733	6,560,347
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		6,419,191	6,538,951

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 აგვისტოს

გენერალური დირექტორი

(ე. ჩხაბერიძე)

ფინანსური დირექტორი

(ნ. ხომერიკი)



თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10--დან 34 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი შემოსავლები	41,436,327	34,438,608
სხვა შემოსავლები	1,549	49,169
მოწოდებაზე და მომსახურებაზე გაცემული ფულადი სახსრები	(28,783,397)	(25,900,490)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6,993,490)	(5,211,772)
სხვა ვალდებულების შემცირება	(438,327)	(380,682)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(4,642,570)	(2,721,587)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(85,149)	(58,906)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	494,943	214,340
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(502,661)	(258,286)
შემოსულობანი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	33,497	27,380
მიღებული პროცენტები	20	3
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(469,144)	(230,903)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულების გადახდა		
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	0	0
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	20	579
წმინდა ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტის მატება/კლება	25,819	(15,984)
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	11,476	27,460
ნაშთი პერიოდის ბოლოს	37,295	11,476

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 აგვისტოს

გენერალური დირექტორი (ე. ჩხაბერიძე)

ფინანსური დირექტორი (ნ. ხომერიკი)

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


(ქართული ლარი)

	2023	2022
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი შემოსავლები	41,436,327	34,438,608
სხვა შემოსავლები	1,549	49,169
მოწოდებაზე და მომსახურებაზე გაცემული ფულადი სახსრები	(28,783,397)	(25,900,490)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6,993,490)	(5,211,772)
სხვა ვალდებულებების შემცირება	(438,327)	(380,682)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(4,642,570)	(2,721,587)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(85,149)	(58,906)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	494,943	214,340
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(502,661)	(258,286)
შემოსულობანი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	33,497	27,380
მიღებული პროცენტები	20	3
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(469,144)	(230,903)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებების გადახდა		
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	0	0
უცხოური ვალუტის ცვდილების ეფექტი ფულად სახსრებზე	20	579
წმინდა ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტის მატება/კლება	25,819	(15,984)
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	11,476	27,460
ნაშთი პერიოდის ბოლოს	37,295	11,476

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 15 აგვისტოს

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

 (ე. ჩხაბერიძე)
 (ნ. ხომერიკი)


თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 10--დან 34 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(ქართული ლარი)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „მარშე“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 6 მარტს შპს „ნინაფალკონი“-ის სახელით. 2012 წლის 26 ივლისს შპს „ნინაფალკონი“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დარეგისტრირდა შპს „მარშეს“ სახელწოდებით.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ 9

კომპანიის ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ერისთავის ქ. #5, ასევე კომპანიას აქვს საწყობი ქ. ბათუმში, მხოლოდ მზა პროდუქტის რეალიზაციის მიზნით.

კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდში წარმოადგენს ფიზიკური პირი- ირმა ქოსაშვილი

კომპანიამ 2012 წლის მაისში დაასრულა ქარხნის მშენებლობა და დაიწყო საოპერაციო საქმიანობა.

2013 წლის 23 სექტემბერს კომპანიამ განაცხადი გააკეთა გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ, 2016 წლის 28 მარტს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „მარშე“-ს რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით.

შპს „მარშე“-ს ძირითადი საქმიანობაა: ხორც-პროდუქტების, თევზის პროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურ-ფუნთუშეულისა და კულინარული ნაწარმის წარმოება, ასევე ხილ-ბოსტნის დამუშავება, დაფასობა. წარმოების პროდუქციის საბითუმო რეალიზაციას კომპანია ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო სამსახურის მეშვეობით. გააჩნია ერთი კვების ობიექტი, საიდანაც იმავდროულად ახორციელებს წარმოებული პროდუქციის საცალო ვაჭრობას.

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ დაიწყო ოპერირება შპს „გუდვილი“-ს საწარმოო ნაწილში.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად .

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ (დისკონტირებული) ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანია სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით, ვინაიდან ფიქრობს, რომ, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ ძირითადი საოპერაციო საქმიანობიდან (წარმოება) როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ახალი ფას-ების მიღება

კომპანია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს 2023 წლის 01 იანვრისათვის მოქმედი რედაქციით „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი“-ს მიხედვით

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასებას ხელმძღვანელობა ახდენს მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებულ გამოცდილების შესაბამისად. აფასებს რა აქტივებს პერიოდულად ახდენს გამოყენების ვადის ცვლილებას.

სასამართლო დავები. კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარჩებებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდ შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. იმ პირობითი ვალდებულების რეალიზაციას, რომელიც ჯერჯერობით არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღრიცხვის ამ პრინციპების გამოყენება სასამართლო შემთხვევებისთვის მოითხოვს, რომ კომპანიის მენეჯმენტმა მიუთითოს გადაწყვეტილებები ისეთ ფაქტიურ და იურიდიულ საკითხებზე, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება. კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს ყოველი ბალანსის შედგენის თარიღში, იმისათვის, რომ, შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები. ამ გარემოებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ ფაქტორებს შორისაა სასამართლო დავის, საჩივრის ან გარჩევის ტიპის, სასამართლო პროცესი და პოტენციური ზარალის ოდენობა იმ იურისდიქციაში, რომელიც განიხილავს ამ დავას, საჩივარს ან გარჩევას, პროცესის მიმდინარეობა (ფინანსური ანგარიშგების მომზადება, მაგრამ გამოქვეყნებამდე თარიღის ჩათვლით), იურიდიული მრჩევლების მოსაზრებები და შეხედულებები, წინა გამოცდილება ამგავრ საქმეებში და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილება დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე რეაგირების შესახებ.

სააღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“)

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კუर्सის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარე. **თავდაპირველი შეფასება** ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ფასდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

აღიარების შემდგომი შეფასება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალსე ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე, ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

აქტივების თვითღირებულება გაიანგარიშება აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით

რეალური ღირებულება ფასდება თანხით თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. **ამორტიზებული ღირებულება** - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით, მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.

- მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;
- კომპანია დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების შეფასების მიზნით ფინანსური აქტივები ჯგუფდება საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით, კერძოდ დავალიანების კლასი, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა და ასევე არსებობს თუ არა მომავალ პერიოდში თანამშრომლობის შესაძლებლობა.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. . სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით .

თუ გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირებას რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალების რეზერვი. მოვალეების უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან. კომპანია მაშინ როდესაც მყიდველს აქვს უფლება, გარიგების რომელიმე პირობის თანახმად დააბრუნოს საქონელი და გამყიდველი ინარჩუნებს მფლობელობის მნიშვნელოვან რისკებს, სავაჭრო მოთხოვნები კორექტირდება მოთხოვნების უკან დაბრუნების რეზერვებით

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზებული რემონტის ამორტიზება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში. ქონების მიმდინარე რემონტი რომელიც არ ექვემდებარება კაპიტალიზებას აღიარდება ხარჯად მისი გაწევის მომენტში.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ:

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა,
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	3-10
ოფისის აღჭურვილობა	3-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ინდიკატორს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხა. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში და ჩაირთვება გაუფასურების ზარალის მუხლში გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ცვთის ხარჯი გამოითვლება ანაზღაურებადი ღირებულებიდან.

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, კომპენსაციის მიღების მოთხოვნა აღიარდება მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამა	5-10
სხვა	2-10

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება ნორმატიული დანახარჯების მეთოდით, მათზე გაწეული დანახარჯების ცალკე იდენტიფიკაციით. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხორციელდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. მარაგების ჩამოწრა ხორციელდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდით. კომპანია წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს მარაგების შეფასებას გაუფასურების დადგენის მიზნით და შედეგს აღიარებს გაუფასურების ზარალში. მაშინ როდესაც მყიდველს აქვს უფლება, გარიგების რომელიმე პირობის თანახმად უარი თქვას საქონლის ან მომსახურების შეძენაზე და გაურკვეველია უკუგების მიღების შესაძლებლობა და გამყიდველი ინარჩუნებს მფლობელობის მნიშვნელოვან რისკებს, მარაგები კორექტირდება უკან დაბრუნების რეზერვით

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის. გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდი გაცემის დროს. ასევე მოგებით დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანსაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქმნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქმნის პირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა საწარმოდან. სავაჭრო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

საპენსიო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით აღრიცხვას.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

დივიდენდები

ვინაიდან საწარმო იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში, დივიდენდების გაცემა საანგარიშო პერიოდში შეზღუდულია.

ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

მაშინ როდესაც მყიდველს აქვს უფლება, გარიგების რომელიმე პირობის თანახმად უარი თქვას საქონლის ან მომსახურების შეძენაზე და გაურკვეველია უკუგების მიღების შესაძლებლობა, გამყიდველი ინარჩუნებს მფლობელობის მნიშვნელოვან რისკებს. ასეთი გარემოების დადგომისას შემოსავლები კორექტირდება უკან დაბრუნების რეზერვებით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესრულებული სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით),

ამონაგების თანხა განისაზღვრება მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების მიხედვით. კორექტირება ხდება გადაცემული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტის თანხით. თუ შეუძლებელია მიღებული საქონლის და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, ამონაგების თანხის ფასდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემდგომ კორექტირდება მიღებული ფულის ან ფულადი სახსრების ექვივალენტების თანხის მიხედვით. მაშინ როდესაც მყიდველს აქვს უფლება, გარიგების რომელიმე პირობის თანახმად უარი თქვას საქონლის ან მომსახურების შეძენაზე და გაურკვეველია უკუგების მიღების შესაძლებლობა, გამყიდველი ინარჩუნებს მფლობელობის მნიშვნელოვან რისკებს. ასეთი გარემოების დადგომისას შემოსავლები კორექტირდება უკან დაბრუნების რეზერვებით

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელსაც და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელს არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

კომპანია ახდენს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსური და საოპერაციო იჯარად.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიკაციის დროს დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა ცალ-ცალკე ან ერთობლივად, კერძოდ:

- იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;
- იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;
- იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

ფინანსური იჯარის დროს უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებასა და გაანგარიშებულ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების განაწილება პირობით საიჯარო გადასახდელებად და დაუფარავ ვალდებულებად ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

იჯარის ვადა არის კონტრაქტით გათვალისწინებული ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია აქტივის იჯარა, დამატებული ნებისმიერი ისეთი შემდგომი პერიოდი, რომლისთვისაც, მეიჯარეს აქვს შესაძლებლობა, რომ იჯარა გააგრძელოს და იჯარის დასაწყისისათვის არსებობს რწმუნება იმისა რომ მეიჯარის მიერ ეს უფლება იქნება გამოყენებული.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, გამოუყენებელი შვებულებები დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმები პირობების გათვალისწინებით;
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას; ან
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობას.

3. რეკლასიფიკაცია

კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში რეაბილიტაციის ვალდებულებებს ანგარიშგებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარადგენდა როგორც რეაბილიტაციის ვალდებულებას. ამასთან გადახდისუნარობის რეჟიმში გადასვლისას სასამართლოს მიერ აღიარებულ ვალდებულებებს, რომელთა დაფარვა უნდა მომხდარიყო რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით ასახავდა დეტალურად წარმოშობის წყაროს მიხედვით. მაშ შორის მიღებული სესხებიდან ნეტო ღირებულებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში წარადგენდა განმარტებით ინფორმაცია. ვინაიდან კომპანია რეაბილიტაციის რეჟიმშია, იმ სესხებზე, რომლებზეც ვალდებულება წარმოქმნილია 2013 წლის 01 ოქტომბრამდე, მანამდე, ვიდრე კომპანია

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

განაცხადებდა გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სესხის ძირითად თანხაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ამასთან სასესხო ვალდებულებების დაფარვა გათვალისწინებულია რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით და არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ ვალდებულებას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრედიტორთა დაკმაყოფილებისას გამოიყენება პროპორციული მეთოდი, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება ფინანსური ანგარიშგების აღქმადობისათვის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გააერთიანოს და ერთად წარადგინოს ყველა რეაბილიტაციის ვალდებულება ჯამურად, შესაბამისად როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ვალდებულებების ნაწილში, რის შედეგადაც ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა წინა პერიოდის „ანგარიშგებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ“ შესაბამისი მუხლების რეკლასიფიკაცია, კერძოდ

	შენიშვნა	31.12.2022 (წარდგენილი)	სხვაობა	31.12.2022- რეკლასიფიცირებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	977,778		977,778
არამატერიალური აქტივები	12	22,090		22,090
სულ გრძელვადიანი აქტივები		999,868		999,868
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	13	2,046,164		2,046,164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	3,481,443		3,481,443
ფული და ფულის ექვივალენტები	15	11,476		11,476
სულ მიმდინარე აქტივები		5,539,083		5,539,083
სულ აქტივები		6,538,951	0	6,538,951
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		200,000		200,000
წინა წლების დაუფარავი ზარალი		-12,722,242		-12,722,242
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი		-843,226		-843,226
სულ კაპიტალი		-13,365,468	0	-13,365,468
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	482,543	-482,543	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	17	12,861,529	482,543	13,344,072
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,344,072	0	13,344,072
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	18	574,147		574,147
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	5,986,200		5,986,200
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,560,347		6,560,347
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		6,538,951	0	6,538,951

4. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
ამონაგები მზა პროდუქციის რეალიზაცია	46,653,929	40,265,256
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	101,909	104,317
ამონაგები დაბრუნებადი ტარის რეალიზაციიდან	25,658	53,868
სულ	46,781,496	40,423,441

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
რპთ მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	(40,039,384)	(36,670,322)
რპთ საქონლის რეალიზაციიდან	(98,354)	(37,727)
რპთ დაბრუნებადი ტარის რეალიზაციიდან	(17,637)	(29,567)
სულ	(40,155,375)	(36,737,616)

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	2023	2022
საიჯარო შემოსავლები	15,509	16,564
მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	33,415	17,118
ვალდებულებების ადა მოთხოვნების კორექტირებით მიღებული შემოსავლები	118,953	143,164
სხვა	94,036	67,990
სულ	261,913	244,836

7. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	(659,259)	(674,522)
იჯარა	(49,767)	(51,797)
ხელფასები	(1,079,339)	(858,458)
საწვავის ხარჯი	(161,011)	(160,665)
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები	(563,124)	(423,349)
ცვეთა	(37,963)	(50,993)
სადაზღვევო ხარჯები	(13,305)	(10,902)
მიწოდების სხვა ხარჯები	(167,509)	(170,368)
სულ	(2,731,277)	(2,401,054)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასები	(1,558,234)	(1,250,879)
ცვეთა და ამორტიზაცია	(19,373)	(25,866)
ბანკის საკომისიო	(16,646)	(19,070)
საკონსულტაციო და სხვა მომსახურების ხარჯი	(120,866)	(207,786)
კვების ხარჯი	(13,449)	(9,201)
საგადასახადო ხარჯი	(10,525)	(9,718)
კომუნალური ხარჯი	(50,854)	(44,022)
საოპერაციო საქმიანობის მომსახურების ხარჯი	(88,736)	(89,713)
მივლინება	(74,735)	(40,577)
საკანცელარიო ხარჯი	(18,410)	(22,290)
იჯარა	(309,279)	(228,335)
დაზღვევა	(48,235)	(38,776)
საწვავის ხარჯი	(9,632)	(16,866)
კომუნიკაციის ხარჯი	(47,942)	(47,562)
ტრენინგის ხარჯი	(454)	(1,413)
დაცვის ხარჯი	(1,373)	(1,373)
სხვა ხარჯები	(24,905)	(33,175)
სულ	(2,413,648)	(2,086,622)

9. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
ინვენტარიზაციის შედეგი	(96,357)	(79,461)
ჯარიმები და საურავი	(4,298)	(12,066)
საგადასახადო ხარჯი	(51,386)	(62,691)
სხვა	(1,551)	(8,762)
სულ	(153,592)	(162,980)

10. აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურების ხარჯი 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის კორექტირების შედეგი	(15,524)	(44,135)
მარაგების გაუფასურების ზარალი	(215,163)	(173,131)
სულ	(230,687)	(217,266)

მარაგების გაუფასურების შედეგი მოიცავს მყიდველებისაგან დაბრუნებული და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მარაგების ჩამოწერას, ასევე დაზიანების, ჩამოფასებისას ფასთა სხვაობის და გაუფასურების რეზერვის ხარჯებს.

11. უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება-ზარალი

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალი 2023 წლის და 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	25,953	141,625
ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(29,952)	(47,595)
სულ	(3,999)	94,030

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	946,783	63019.00	294,997	625,240	330,759	2,260,798
შემოსვლა	32,318	17825.00	132,357	37,605		220,105
კაპიტალიზაცია/კომპლექტაცია	17,162	18188.00			49,111	84,461
რეალიზაცია			(683)	(99,786)		(100,469)
გასვლა/ჩამოწერა	(26,400)	(12282.00)	(104,825)		(22,682)	(166,189)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	969,863	86750.00	321,846	563,059	357,188	2,298,706
შემოსვლა	146,652	21,941	136,825	36,562		341,980
კაპიტალიზაცია/კომპლექტაცია	56,720	16,194			13,433	86,347
რეალიზაცია		(353.00)		(115,171)		(115,524)
გასვლა/ჩამოწერა	(14,423)	(9522.00)	(38,567)		(66,327)	(128,839)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	1,158,812	115010.00	420,104	484,450	304,294	2,482,670

დაგროვილი ცვეთა	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(346,479)	(37,270)	(203387.00)	(561,273)	(146,544)	(1,294,953)
ცვეთა წლის განმავლობაში	(79,507)	(12,764)	(50569.00)	(32,801)	(66,946)	(242,587)
გასვლა/ჩამოწერა	26,400	12,282	63183.00	92,065	22,682	216,612
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	(399,586)	(37,752)	(190773.00)	(502,009)	(190,808)	(1,320,928)
ცვეთა წლის განმავლობაში	(95,631)	(18,113)	(71894.00)	(15,380)	(59,310)	(260,328)
გასვლა/ჩამოწერა	14,423	9,875	20128.00	115,090	66,328	225,844
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	(480,794)	(45,990)	(242539.00)	(402,299)	(183,790)	(1,355,412)

ნარჩენი საბალანსო ღირებულება	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	600,304	25,749	91610.00	63,967	184,215	965,845
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	570,277	48,998	131073.00	61,050	166,380	977,778
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	678,018	69,020	177565.00	82,151	120,504	1,127,258

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშო პერიოდში ადგილი ქონდა რამოდენიმე აქტივის აღიარების შეწყვეტას ვინაიდან მისი გამოყენებიდან აღარ იყო მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება. 110,401 ლარის ისტორიული ღირებულებით აქტივის აღიარების შეწყვეტის ოპერაციას გავლენა არ მოუხდენია საანგარიშო პერიოდის მოგებაზე, ვინაიდან აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე ცვეთა სრულად იყო დარიცხული მომსახურების ვადის განმავლობაში და შესაბამისად აქტივების ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლი იყო.

შესადარის პერიოდში 2022 წელს ადგილი ქონდა რამოდენიმე აქტივის აღიარების შეწყვეტას ვინაიდან მისი გამოყენებიდან აღარ იყო მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მიღება. 136,022 ლარის ისტორიული ღირებულებით აქტივის აღიარების შეწყვეტის ოპერაციას გავლენა არ მოუხდენია საანგარიშო პერიოდის მოგებაზე, ვინაიდან აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე ცვეთა სრულად იყო დარიცხული მომსახურების ვადის განმავლობაში და შესაბამისად აქტივების ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლი იყო.

საანგარიშო წელს ადგილი ქონდა 30,685 ლარის ისტორიული ღირებულების აქტივის, როგორც გრძელვადიანი აქტივის აღიარების შეწყვეტა და გადატანილი იქნა მარაგებში ნარჩენი ღირებულებით 11,667 ლარი.

მ/ს განახლების მიზნით საანგარიშო პერიოდში ადგილი ქონდა ძირითად საშუალებების გაყიდვას, რომლის შედეგადაც საწარმომ მიიღო მოგება 33,415 ლარის ოდენობით. შესადარის პერიოდში ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მოგებამ შეადგინა 17,118 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის 840,984 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, მაგრამ საწარმო კვლავაც განაგრძნობს მის გამოყენებას. შესადარის პერიოდში ასეთი აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება 92,2751 ლარს შეადგენდა.

შესაფუთი დანადგარი ნარჩენი ღირებულებით 318,169 ლარი გადაყვანილია კონსერვაციის რეჟიმზე ვინაიდან ექვემდებარება მომწოდებელზე უკან დაბრუნებას, იხ განმარტება შენიშვნა 20-ში.

ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკითა და გირავნობით რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველსაყოფად

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სავაჭრო მიზანი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	39,391	362,237	401628.00
შემოსვლა	10,956	2,650	13606.00
გასვლა/ჩამოწერა	(30,493)		(30493.00)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	19,854	364,887	384741.00
შემოსვლა		24,921	24921.00
გასვლა/ჩამოწერა			0.00
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	19,854	389,808	409662.00

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

დაგროვილი ამორტიზაცია	სავაჭრო მიზანი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(28,845)	(348,190)	(377,035)
დარიცხული ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(1,648)	(14,461)	(16,109)
გასვლა/ჩამოწერა	30,493		30,493
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	0	(362,651)	(362,651)
დარიცხული ამორტიზაცია წლის განმავლობაში		(13,786)	(13,786)
გასვლა/ჩამოწერა			0
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	0	(376,437)	(376,437)

ნეტო საბალანსო ღირებულება	სავაჭრო მიზანი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	10,546	14,047	24,593
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	19,854	2,236	22,090
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	19,854	13,371	33,225

შესადარის პერიოდში კომპანიამ დააპატენტა ახალი სასაქონლო ნიშანი. რის გამოც შეწყდა ძველი სასაქონლო ნიშნის აღიარება. ვინაიდან სასაქონლო ნიშნის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლი იყო, აღიარების შეწყვეტას ზარალი არ გამოუწვევია. ახალ სასაქონლო ნიშანს ამორტიზაცია არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები არ არის დატვირთული იპოთეკითა და გირავნობით რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველსაყოფად,

14. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
დაუმთავრებელი წარმოება	0	4,091
საქონელი	56,892	72,111
ნედლეული და მასალები	1,387,387	1,400,627
მზა პროდუქცია	461,680	493,728
სხვა მარაგები	51,547	41,683
საქონლის დაბრუნების რეზერვი	52,067	33,924
სულ	2,009,573	2,046,164

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კომპანია გასული პერიოდების ანალიზის საფუძველზე უშვებს საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის მომავალ პერიოდში დაბრუნების შესაძლებლობას და ქმნის უკან დაბრუნების რეზერვს. ვინაიდან დაბრუნება ხდება უმეტესად ვარგისიანობის ვადის გასვლის გამო, შესაბამისად ასევე ქმნის გაუფასურების რეზერვს.

მარაგები არ არის დატვირთული იპოთეკითა და გირავნობით რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნა	3,401,277	3,851,632
მოთხოვნები საგარანტიო მომსახურებიდან/მისაღები პროცენტები	3,874	3,874
სხვა ფინანსური აქტივები	100,688	96,681
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	253,782	259,615
სხვა	920	1,901
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(467,286)	(673,835)
დაბრუნების რეზერვი	(81,415)	(58,425)
სულ	3,211,840	3,481,443

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი შექმნილია იმ მოთხოვნების გაუფასურების შესაფასებლად, რომელზეც მიღებულია აღსრულების გადაწყვეტილება და/ან რომელთა წარმოშობიდან გასულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა 3 წელი. დაბრუნების რეზერვი შექმნილია გარიგების პირობების თანახმად საანგარიშო პერიოდში რეალიზებული და მომავალ საანგარიშო პერიოდში დაბრუნებას დაქვემდებარებული საქონელზე მოთხოვნების შემცირების გათვალისწინების მიზნით. დაბრუნების რეზერვი შექმნილია მე-13 შენიშვნაში განმარტების მიზნით

ვინაიდან კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში, მას აკრძალული აქვს რეაბილიტაციის მმართველის/სასამართლოს გარეშე მოთხოვნების ჩამოწერა.

2022 წელს რეაბილიტაციის მმართველის და საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რამოდენიმე კომპანია წლებია არ ფუნქციონირებს, ხოლო ფურშეტ ჯორჯია ლიკვიდაცია განხორციელდა საექვო მოთხოვნების რეზერვის გათვალისწინებით ჩამოიწერა 562,224 ლარის მოთხოვნა

16. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
ფული სალაროში	3,153	823
ფული მომდინარე საბანკო ანგარიშზე ლარში	34,142	10,653
სულ	37,295	11,476

17. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
რეაბილიტაციის ვალდებულებები	11,880,060	13,234,924
სხვა ვალდებულებები	-	109,148
სულ	11,880,060	13,344,072

კომპანიის რეაბილიტაციის გრძელვადიანი ვალდებულებები მოკლევადიანი ვალდებულებებიდან წარმოქმნილია 2013 წლის 30 სექტემბერს, მას შემდეგ რაც კომპანიამ გააკეთა განაცხადი გადახდისუუნარობაზე და წარმოადგენს იმ პერიოდისათვის წარმოქმნილ საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს. მისი დაფარვა განხორციელდება რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით . მიმდინარე საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით კრედიტორთა დაკმაყოფილებ უნდა განხორციელდებულყო 281,486 ლარით, კომპანიამ მიმართა მომრიგებელს მოთხოვნით 2023 წლის მოგების თანხა მიმართულიყო რეაბილიტაციის ვალდებულების დასაფარად და შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილებით მოკლევადიან ვალდებულებად აღიარდა 1,354,864 ლარი.

18. საგადასახდო ვალდებულებები

საგადასახდო ვალდებულებების აღრიცხვისა და ბარათის წარმოების წესებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო საგადასახდო ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ჯამურად ყველა გადასახადის ნაწილში. ასევე შედის ჩაუთვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომლის ჩათვლის უფლება მოპოვებულია.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის და 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023	2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	4,222,153	5,566,794
სხვა ვალდებულებები	194,157	67,051
რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანის მიმდინარე ნაწილი	1,396,620	45,042
არაფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	333,866	307,313
სულ	6,146,796	5,986,200

საწარმოს იჯარის უფლებით აღებული აქვს უძრავი და მოძრავი ქონება . იჯარა წარმოადგენს საოპერაციო იჯარას, ქვეიჯარით გაცემის უფლების შეზღუდვით.

2023 წელს ადგილი ქონდა საიჯარო ქირის მნიშვნელოვან ზრდას. 2023 წლის განმავლობაში ხარჯის სახით აღიარებულია 1,283,993 ლარი, რომელთაგან 938,878 ლარი მონაწილეობს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში. შესადარის პერიოდში იჯარის ხარჯი შეადგენდა შესაბამისად 984,996 და 720,608 ლარს.

2023 წლისა და 2022 წლის ბოლოსათვის არსებული საიჯარო ვალდებულებები წარმოადგენს ვადაგადაცილებულ ვალდებულებას.

რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი წარმოადგენს რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად მიმდინარე გადასახდელ ვალდებულებას, რომელიც შედგება კერძოდ მე-6 რიგის კრედიტორების ვალდებულებისაგან.

ვალდებულებები პერსონალის მიმართ მოიცავს დასაქმებულთა გასამრჯელოს, მათ შორის გამოუყენებელი შვებულების რეზერვი შეადგენს 2023 წლის ბოლოსათვის 311,275 ლარს, ხოლო შესადარის პერიოდში 260,803 ლარს

20. სასამართლო დავები

კომპანიას აღძრული ქონდა სასამართლო დავა 347,298 ღირებულების შესაფუთ დანადგარზე. კერძოდ დანადგარმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული მომწოდებელთან, ვერ უზრუნველყო შეფუთვის ხარისხი და კომპანიამ ითხოვს დანადგარის შეცვლას ან უკან დაბრუნებას. ამასთანავე უკვე ანაზღაურებული თანხის (225,848) უკან დაბრუნებას. დანადგარის შემენილი იყო გადახდის განვადების პირობით და დავალიანება შეადგენს 121,450 ლარს. დანადგარი გადაყვანილი იყო კონსერვაციის რეჟიმზე. აღნიშნული სასამართლო პროცესი დასრულდა მხარეთა მორიგებით, მეორე მხარემ განახორციელა დანადგარის მოდერნიზაცია, რის შედეგადაც ის ფუნქციონალურად ვარგისი გახდა შპს „მარშე“-ს საოპერაციო საქმიანობისათვის

შესადარის პერიოდში კომპანიის სასარგებლოდ დასრულდა დავა სასაქონლო ნიშნის ფლობასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნდა გადაწყვეტილება შპს „მარშე“-ს სასარგებლოდ, რომლითაც შპს „ჯეო-კოპს“ უარი ეთქვა სარჩელზე სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის თაობაზე.

21. პირობითი ვალდებულებები

2013 წელს კომპანიამ განაცხადი შეიტანა გადახდისუუნარობაზე, ხოლო 2016 წელს შევიდა რეაბილიტაციის რეჟიმში. დამტკიცებული ფინანსური გეგმის მიხედვით გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა უნდა განხორციელდეს 19 წლიანი ფინანსური გეგმის მიხედვით, კომპანიის წმინდა რეინვესტირებული მოგებიდან 90 %-ის ოდენობით, ხოლო თუ საანგარიშო პერიოდში წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგენს უფრო ნაკლებ სიდიდეს, ვიდრე რეინვესტირებული მოგება, ამ თანხის 90%. ვინაიდან აღნიშნული გეგმა გათვლილია საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდზე, დანართ 27-ში მოცემული რისკებისა და ბაზარზე ახალი კონკურენტუნარიანი საწარმოების შემოსვლის გათვალისწინებით, შესაძლებელია მომავალ პერიოდებში აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვნად შესრულებამ გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი მოვლენები.

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად კომპანიაში არის რისკები რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების აღმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდი. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების რისკი, შემდეგია:

- ფული და ფულის ექვივალენტი
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, მენეჯმენტმა მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა , რომელიც შეამცირებს რისკის მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საკრედიტო რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება).

კომპანიამ შეაფასა რა ფინანსური ინსტრუმენტები, წინა საანგარიშო პერიოდში შექმნა საეჭვო მოთხოვნების რეზერვი, ამიტომაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საკრედიტო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის მნიშვნელოვან დანაკარგების მეორე მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის კურსი არის მნიშვნელოვანი კომპანიის ფინანსური რისკების დადგენაში.

სავალუტო რისკები, სავალუტო რისკის მგრძნობელობა

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანია დაუცველია უპირატესი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის გავლენისაგან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ვინაიდან კომპანიას გრძელვადიანი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ლარში აქვს აღებული, ვალუტის მერყეობა ძირითად ზეგავლენას მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში, კერძოდ საოპერაციო იჯარა.

ქვემოთ მოცემულია ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის გავლენა კომპანიის მომგებიანობაზე .

	31.12.2023	31.12.2022
	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები		
სულ ფინანსური აქტივები	-	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-294,226	-286,008
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-294,226	-286,008
წმინდა ფინანსური პოზიცია	-294,226	-286,008

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის		2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	
	დოლარი/ლარი	დოლარი/ლარი	დოლარი/ლარი	დოლარი/ლარი
	20%	– 20%	20%	– 20%
გავლენა მოგება/(ზარალი)	58,847	-58,847	57,202	-57,202
		31.12.2023	31.12.2022	
		ევრო	ევრო	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		-		-
სულ ფინანსური აქტივები		-		-
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-138,071		-163,818
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-138,071		-163,818
წმინდა ფინანსური პოზიცია		-138,071		-163,818

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის		2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	
	ევრო/ლარი	ევრო/ლარი	ევრო/ლარი	ევრო/ლარი
	20%	- 20%	20%	- 20%
გავლენა მოგება/(ზარალი)	27,616	-27,616	32,764	-32,764

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანიის ფუნქციონირება რეაბილიტაციის რეჟიმში, რის გამოც კომპანიას აკრძალული აქვს საოპერაციო საქმიანობისათვის დამატებითი ფულადი სახსრები მოზიდვა. ამასთანავე რეინვესტირებული მოგების მიმართვა რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით წინა პერიოდების ვალდებულებების დასაფარად, კიდევ უფრო ართულებს ზემოთ აღნიშნულს. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ვალდებულებები გააჩნია. ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები (არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

შპს „მარშე“-ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 31.12.2023
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	37,295		37,295
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,211,840		3,211,840
სულ ფინანსური აქტივები	3,249,135	0	3,249,135
ფინანსური ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	0	0	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-6,146,796	-11,880,060	-18,026,856
სულ ფინანსური ვალდებულებები	-6,146,796	-11,880,060	-18,026,856
ლიკვიდურობის სხვაობა	-2,897,661	-11,880,060	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	-2,897,661	-14,777,721	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში	-45.14%	-230.21%	

	1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 31.12.2022
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11,476		11,476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,033,960		2,033,960
სულ ფინანსური აქტივები	2,045,436	0	2,045,436
ფინანსური ვალდებულებები			
სულ პროცენტის მქონე ფულადი ვალდებულებები			0
გრძელვადიანი სესხები	0	0	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-5,986,200	-13,344,072	-19,330,272
სულ ფინანსური ვალდებულებები	-5,986,200	-13,344,072	-19,330,272
ლიკვიდურობის სხვაობა	-3,940,764	-13,344,072	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	-3,940,764	-17,284,836	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში	-60.27%	-264.34%	

ლიკვიდურობის მაღალი რისკიდან გამომდინარე საწარმო იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში რეაბილიტაციის გეგმის მიხედვით გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა
- შეიმუშაოს გაყიდვების და მომსახურების გაყიდვების ახალი სტრატეგია

რეაბილიტაციის პროცესიდან და ფინანსური გეგმიდან გამომდინარე კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად.

კომპანია ეფექტურად ვერ მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ვერ ახორციელებს ამორტიზებული აქტივების შეცვლას, რადგან საწარმო რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში

ბალანსის შემდგომი მოვლენები

„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

გასულ პერიოდში გლობალურ მოვლენას, რომელმაც კოვიდ-19, გავლენა მოახდინა პანდემიის შემდგომ პერიოდზე არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ეკონომიკაზე. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ლოჯისტიკის ხარჯები, რამაც გაზარდა საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებული რელევანტური დანახარჯები. ასევე მსოფლიო ბაზარზე მწარმოებელმა კომპანიებმა პანდემიის დროს მოთხოვნის შემცირების გამო მოახდინეს საწარმოო სიმძლავრეების შემცირება, რამაც გამოწვია მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსი, რომელიც დღემდე არ არის აღდგენილი და შესაბამისად მსოფლიო ბაზარზე კვლავ ხდება ნედლეულზე ფასების ზრდა.

გასათვალისწინებელია შრომის ბაზარზე შექმნილი გარემო, კერძოდ კადრების სერიოზული დეფიციტი, რამაც ასევე შეიქმნა შრომითი რესურსის დეფიციტი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომითი დანახარჯები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი თავისთავად იწვევს მზა პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან ზრდას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კომპანიის გაყიდვების თავისებურებებიდან გამომდინარე ნედლეულზე ფასების ზრდა მყისიერად ვერ აისახება გასაყიდ ფასზე აღნიშნულმა გავლენა მოახდინა შუალედურ მოგების მარჟაზე.

ბალანსის შემდგომ ადგილი ქონდა შემოსავლების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც გამოწვეული იყო 2 მნიშვნელოვანი პროექტის გასვლით, კერძოდ სს „გუდვილში“ იჯარით აღებულ საწარმოო ფართზე საქმიანობა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პროდუქტების წარმოება-მიწოდებას, რამაც დაგეგმილი შემოსავალი შეამცირა 10,300,000 ლარით. შესაბამისად 2024 წლის 7 თვეში კომპანია მნიშვნელოვანი ზარალი მიიღო.

კომპანიის მენეჯმენტი უზრუნველყოფს რა კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს მომგებიანობას, რეაბილიტაციის მმართველთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება შეცვალოს საოპერაციო საქმიანობა და მოგება მიიღოს სასაქონლო ნიშნის გაქირავებით.

საქმიანობის უწყვეტობა

მიუხედავად „ბალანსის შემდგომი მოვლენებში“ აღწერილისა, რითაც საფრთხე ექმნება საწარმოს ფუნქციონირებას, მენეჯმენტის შეფასებით კომპანია განაგრძნობს უწყვეტ ფუნქციონირებას, რისთვისაც განახორციელებს სასაქონლო ნიშნის გაქირავებას და მიიღებს სტაბილურ შემოსავალს

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი: (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

ბ) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;

ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

ან საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ფინანსური ანგარიშგებაში შემდეგნაირად აისახება

შპს „მარშე“ -ს ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

დაკავშირებული მხარე	ურთიერთობის ხასიათი	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან 31,12,2023	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან 31,12,2022
სვაჭრო და სხვა მოთხოვნები			
შპს გუდვილი	ოჯახის წევრი აქციონერი	1,290,544	1,673,983
შპს " ჰიპერმარკეტი საბურთალო"	სხვა	330,781	365,278
შპს "გუდ ქეითერინგ ენდ მორ"	ურთიერთდამოკიდებულება	21,901	31,847
	ოჯახის წევრი აქციონერი		
გრძელვადიანი ვალდებულებები (რეაბილიტაციის ვალდებულებები)			
ირმა ქოსაშვილი	100% წილის მფლობელი		302,185
შპს გუდვილი	ოჯახის წევრი აქციონერი	6,789,163	7,187,554
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ირმა ქოსაშვილი	100% წილის მფლობელი	519,878	3,288
შპს გუდვილი	ოჯახის წევრი აქციონერი	797,482	14,892

შპს გუდვილი	ოჯახის წევრი აქციონერი		
ამონაგები		17,227,234	14,498,896
სხვა შემოსავალი			18,547
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		-14,111,540	-12,549,157
შესყიდული მარაგები და მომსახურება		1,841,560	1,835,165
შპს " ჰიპერმარკეტი საბურთალო"	სხვა		
ამონაგები	ურთიერთდამოკიდებულება	3,786,641	2,990,302
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		-2,946,652	-2,573,911
შპს "გუდ ქეითერინგ ენდ მორ"	ოჯახის წევრი აქციონერი		
ამონაგები		137,253	156,130
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		-96,308	-112,197
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო		150,000	150,000

კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანია ძირითად ბიზნეს საქმიანობას საქართველოში ეწევა. საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციას. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ცვალებადი ინტერპრეტაციების საგანს წარმოადგენს და განაპირობებს საქართველოში მომუშავე კომპანიების წინაშე მდგარ გამოწვევებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, ასევე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია იმ განვითარებების წინასწარ დადგენა, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ საქართველოს ეკონომიკაზე, ასევე კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე მათი შესაძლო მოქმედების განსაზღვრა.

შპს „მარშე“

მმართველობითი ანგარიშგება 2023 წელი



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა.

ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები. ჩვენ შევეცდებით ამ დოკუმენტში, რაც შეიძლება ლაკონურად, გაგაცნოთ ჩვენი კომპანიის შექმნისა და მისი ისტორიის შესახებ დაფუძნებიდან დღემდე.

საქმიანობის აღწერა

შპს „მარშე“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 6 მარტს შპს „ნინაფალკონი“-ის სახელით. 2012 წლის 26 ივლისს შპს „ნინაფალკონს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დარეგისტრირდა შპს „მარშეს“ სახელწოდებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ 9
კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ერისთავის ქ. #5. ასევე კომპანიას აქვს საწყობი ქ. ბათუმში, მხოლოდ მზა პროდუქტის რეალიზაციის მიზნით.

კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდში წარმოადგენს ფიზიკური პირი- ირმა ქოსაშვილი

კომპანიამ 2012 წლის მაისში დაასრულა ქარხნის მშენებლობა და დაიწყო საოპერაციო საქმიანობა.

2013 წლის 23 სექტემბერს კომპანიამ განაცხადი გააკეთა გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ, 2016 წლის 28 მარტს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „მარშე“-ს რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით. ამჟამად კომპანია საოპერაციო საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებს იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების მეშვეობით.

2023 წელს კომპანია საქმიანობას (წარმოება/რეალიზაციას) ახორციელებდა 4 ლოკაციაზე, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი მოგება მიიღო.

შპს „მარშე“-ს ძირითადი საქმიანობაა: ხორც-პროდუქტების, თევზის პროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურ-ფუნთუშეულისა და კულინარული ნაწარმის წარმოება, ასევე ხილ-ბოსტნის დამუშავება, დაფასოება. წარმოების პროდუქციის საბითუმო რეალიზაციას კომპანია ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო სამსახურის მეშვეობით. გააჩნია ერთი კვების ობიექტი, საიდანაც იმავდროულად ახორციელებს წარმოებული პროდუქციის საცალო ვაჭრობას.

საოპერაციო საქმიანობისა და მიწოდების ეფექტურობის გათვალისწინებით 2023 წელს საქმიანობას ახორციელებდა რამოდენიმე ლოკაციაზე(მისამართზე) კერძოდ,

- თბილისი, ერისთავის 5
- თბილისი, ფარნავაზ მეფის 1
- თბილისი, ჭავჭავაძის 32
- თბილისი, რუსთაველის გამზ 2/4
- ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის 18

ოფისი

სათაო ოფისი განთავსებულია ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 5-ში.


უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამოიცილოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა

კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელია - დირექტორი.

ქვემოთ მოცემულია 2023 წელს მოქმედი დამტკიცებული სტრუქტურა.



კომპანიაში გამოიყენება ფიქსირებული და საათობრივი ანაზღაურების სისტემა. შპს მარშეში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 536 ადამიანი მათ შორის შორის 409 უშუალოდ წარმოებაშია დასაქმებული

სტრუქტურის თავისებურებანი

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ქვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომლების უფლება-მოვალეობების, თანამშრომელთა ქცევისა და დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს.

ჩვენი გუნდი

შპს „მარშე“-ში დასაქმებულია 536 -მდე თანამშრომელი. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურებისა და დივერსიფიკაციის პატივისცემით. კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი, ჯანსაღი გარემო შრომისათვის. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „მარშე“-ს მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს. რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. შპს „მარშე“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიაში შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხორციელდება კონტროლი, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ბრენდის ლოგო

2022 წელს კომპანიამ მოიგო სასამართლო დავა შპს „ჯეო-კოპი“-თან და დააპატენტა სასაქონლო ნიშანი



წარმოებული პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა

წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია მარშე-ში ფუნქციონირებს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით (მიკრობიოლოგი, სურსათის უვნებლობის სპეციალისტები) დაკომპლექტებული ლაბორატორია, რომლებიც აკონტროლებენ მთლიან რგოლს ნედლეულის მიღებიდან მზა პროდუქციის რეალიზაციამდე. კომპანიაში დაარსების დღიდან დანერგილია საერთაშორისო სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემა FSSC 22000 და ტარდება ყოველწლიური აუდიტი.

ფინანსური რისკები და მათი ანალიზი

ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს რისკებს. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ საწარმო გადახდისუნარობის რეჟიმშია და კაპიტალი უარყოფითი სიდიდეს, კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობისა და კაპიტალის რისკის მართვა. კომპანიის ხელმძღვანელობისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადახდისუნარობიდან გამოსვლა, საბრუნავი სახსრების მოზიდვა და საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შექმნა და შესაბამისად ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გაუმჯობესება

ფინანსური მდგრადობის ანალიზის ძირითადი მაჩვენებლებია:

	2023	2022
საკუთარი საბრუნავი კაპიტალი	(15,180,658)	(16,411,500)
კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	-1.87	-2.04
ფინანსური დამოუკიდებულების კოეფიციენტი	2.87	3.04
კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტი	0.90	
გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი	10.24	13.35

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.006	0.002
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.50	0.53
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.98	1.00

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებელი

	2023	2022
მთლიანი მოგების მარჟა	14%	9%
წმინდა მოგების მარჟა	3%	-2%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	-11.28%	6.31%
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	21.11%	-12.90%

ბიზნეს საქმიანობის აქტივობის შეფასება
ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის კოეფიციენტი

-0.11

0.06

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ბაზარზე კოვიდ -19 პანდემიის შემდეგ შეიქმნა ახალი რეალობა, კერძოდ რამოდენიმეჯერ გაძვირდა ლოჯისტიკის ხარჯები, ასევე ნედლეულის მწარმოებელი საწარმოების წარმადობა მოთხოვნის შემცირების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა, გაიზარდა შესასყიდი ფასები. ფასების ზრდაზე გავლენას ახდენს ასევე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ნიშნები, რაც ფინანსურ რისკებს ზრდის და შესაბამისად რისკების დაზღვევა აისახება პროდუქციის ფასში. აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი პროექტების მოზიდვის საშუალებით კომპანიამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მოგება დაწერა.

2024 წლის მარტის თვეში ადგილი ქონდა 2 პროექტის შეწყვეტას, რის შედეგადაც ბიუჯეტირებული შემოსავალიდან სხვაობამ 10,300,000 ლარი შეადგინა. აღნიშნულმა ფაქტმა გამოწვია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება. ფუნქციონალურობის შესანარჩუნებლად კომპანია ცვლის საოპერაციო საქმიანობის სახეს და შემოსავლებს მიიღებს სასაქონლო ნიშნის გაქირავებით.

შპს „მარშე“-ს დირექტორი:



(ე. ჩხაბერიძე)

შპს „მარშე“
მმართველობითი ანგარიშგება
2023 წელი



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა.

ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები. ჩვენ შევეცდებით ამ დოკუმენტში, რაც შეიძლება ლაკონურად, გაგაცნოთ ჩვენი კომპანიის შექმნისა და მისი ისტორიის შესახებ დაფუძნებიდან დღემდე.

საქმიანობის აღწერა

შპს „მარშე“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 6 მარტს შპს „ნინაფალკონი“-ის სახელით. 2012 წლის 26 ივლისს შპს „ნინაფალკონს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დარეგისტრირდა შპს „მარშეს“ სახელწოდებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ 9

კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი , ერისთავის ქ. #5. ასევე კომპანიას აქვს საწყობი ქ ბათუმში, მხოლოდ მზა პროდუქტის რეალიზაციის მიზნით.

კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდში წარმოადგენს ფიზიკური პირი- ირმა ქოსაშვილი

კომპანიამ 2012 წლის მაისში დაასრულა ქარხნის მშენებლობა და დაიწყო საოპერაციო საქმიანობა.

2013 წლის 23 სექტემბერს კომპანიამ განაცხადი გააკეთა გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ, 2016 წლის 28 მარტს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „მარშე“-ს რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით. ამჟამად კომპანია საოპერაციო საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებს იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების მეშვეობით.

2023 წელს კომპანია საქმიანობას (წარმოება/რეალიზაციას) ახორციელებდა 4 ლოკაციაზე, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი მოგება მიიღო.

შპს „მარშე“-ს ძირითადი საქმიანობაა: ხორც-პროდუქტების, თევზის პროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურ-ფუნთუშეულისა და კულინარული ნაწარმის წარმოება, ასევე ხილ-ბოსტნის დამუშავება, დაფასოება. წარმოების პროდუქციის საბითუმო რეალიზაციას კომპანია ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო სამსახურის მეშვეობით. გააჩნია ერთი კვების ობიექტი, საიდანაც იმავდროულად ახორციელებს წარმოებული პროდუქციის საცალო ვაჭრობას.

საოპერაციო საქმიანობისა და მიწოდების ეფექტურობის გათვალისწინებით 2023 წელს საქმიანობას ახორციელებდა რამოდენიმე ლოკაციაზე(მისამართზე) კერძოდ,

- თბილისი, ერისთავის 5
- თბილისი, ფარნავაზ მეფის 1
- თბილისი, ჭავჭავაძის 32
- თბილისი, რუსთაველის გამზ 2/4
- ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის 18

ოფისი

სათაო ოფისი განთავსებულია ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 5-ში.


უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა

კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელია - დირექტორი.

ქვემოთ მოცემულია 2023 წელს მოქმედი დამტკიცებული სტრუქტურა.



კომპანიაში გამოიყენება ფიქსირებული და საათობრივი ანაზღაურების სისტემა.

შპს მარშეში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 536 ადამიანი მათ შორის შორის 409 უშუალოდ წარმოებაშია დასაქმებული

სტრუქტურის თავისებურებანი

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომლების უფლება-მოვალეობების, თანამშრომელთა ქცევისა და დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს.

ჩვენი გუნდი

შპს „მარშე“-ში დასაქმებულია 536 -მდე თანამშრომელი. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურებისა და დივერსიფიკაციის პატივისცემით. კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი, ჯანსაღი გარემო შრომისათვის. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „მარშე“-ს მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს. რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. შპს „მარშე“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიაში შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხორციელდება კონტროლი, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ბრენდის ლოგო

2022 წელს კომპანიამ მოიგო სასამართლო დავა შპს „ჯეო-კოპი“-თან და დააპატენტა სასაქონლო ნიშანი



წარმოებული პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა

წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია მარშე-ში ფუნქციონირებს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით (მიკრობიოლოგი, სურსათის უვნებლობის სპეციალისტები) დაკომპლექტებული ლაბორატორია, რომლებიც აკონტროლებენ მთლიან რგოლს ნედლეულის მიღებიდან მზა პროდუქციის რეალიზაციამდე. კომპანიაში დაარსების დღიდან დანერგილია საერთაშორისო სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემა FSSC 22000 და ტარდება ყოველწლიური აუდიტი.

ფინანსური რისკები და მათი ანალიზი

ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს რისკებს. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ საწარმო გადახდისუნარობის რეჟიმშია და კაპიტალი უარყოფითი სიდიდეა, კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესია ლიკვიდურობისა და კაპიტალის რისკის მართვა. კომპანიის ხელმძღვანელობისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადახდისუნარობიდან გამოსვლა, საბრუნავი სახსრების მოზიდვა და საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შექმნა და შესაბამისად ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გაუმჯობესება

ფინანსური მდგრადობის ანალიზის ძირითადი მაჩვენებლებია:

	2023	2022
საკუთარი საბრუნავი კაპიტალი	(15,180,658)	(16,411,500)
კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	-1.87	-2.04
ფინანსური დამოუკიდებულების კოეფიციენტი	2.87	3.04
კაპიტალის უსაფრთხოების კოეფიციენტი	0.90	
გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი	10.24	13.35

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.006	0.002
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.50	0.53
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.98	1.00

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებელი

	2023	2022
მთლიანი მოგების მარჟა	14%	9%
წმინდა მოგების მარჟა	3%	-2%
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	-11.28%	6.31%
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	21.11%	-12.90%

ბიზნეს საქმიანობის აქტივობის შეფასება

ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის კოეფიციენტი

-0.11

0.06

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ბაზარზე კოვიდ -19 პანდემიის შემდეგ შეიქმნა ახალი რეალობა, კერძოდ რამოდენიმეჯერ გაძვირდა ლოჯისტიკის ხარჯები, ასევე ნედლეულის მწარმოებელი საწარმოების წარმადობა მოთხოვნის შემცირების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა, გაიზარდა შესასყიდი ფასები. ფასების ზრდაზე გავლენას ახდენს ასევე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ნიშნები, რაც ფინანსურ რისკებს ზრდის და შესაბამისად რისკების დაზღვევა აისახება პროდუქციის ფასში. აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი პროექტების მოზიდვის საშუალებით კომპანიამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მოგება დაწერა.

2024 წლის მარტის თვეში ადგილი ქონდა 2 პროექტის შეწყვეტას, რის შედეგადაც ბიუჯეტირებული შემოსავალიდან სხვაობამ 10,300,000 ლარი შეადგინა. აღნიშნულმა ფაქტმა გამოწვია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება. ფუნქციონალურობის შესანარჩუნებლად კომპანია ცვლის საოპერაციო საქმიანობის სახეს და შემოსავლებს მიიღებს სასაქონლო ნიშნის გაქირავებით.

შპს „მარშე“-ს დირექტორი:

(ე. ჩხაბერიძე)